2.1 „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს საპრივატიზებო თანხის, 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის (შემდეგში, "საპრივატიზებო თანხა") გადახდა „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში;

2.2 "საპრივატიზებო თანხის" გადახდა „მყიდველის" მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

2.3 „საპრივატიზებო თანხა" გადახდილად ჩაითვლება მისი „გამყიდველის" ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

2.4 „მყიდველმა" „საპრივატიზებო თანხის" გადახდისას უნდა მიუთითოს „ხელშეკრულების" ამ პუნქტში გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა:

1. „ხელშეკრულების" გაფორმების თარიღი;
2. „მხარის" სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი;
3. „ქონების" საკადასტრო კოდი.

2.5 ხელშეკრულების 2.2 მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი" წერილობით აცნობებს „მყიდველს".

მუხლი 3. „მხარეთა" უფლება-მოვალეობები

3.1„მყიდველი" ვალდებულია:

3.1.1 „ხელშეკრულების" გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს, „ქონების" ან მისი ნაწილის განვითარების (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) „ხელშეკრულების" გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში „ქონებაზე" საინჟინრო-გეოლოგიური/გეოტექნიკური კვლევის მომზადებას და გამაგრებითი სამუშაოების (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) განხორციელებას) მიზნით, არანაკლებ 5 350 000 (ხუთი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება. ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, ზუსტდება, რომ ამ მუხლის შესაბამისად გაწეულ ინვესტიციად მიიჩნევა „ქონების" განვითარების მიზნით „ქონებაზე" გაწეული კაპიტალიზებადი ხარჯი. ამასთანავე, მანქანა-დანადგარების/მოწყობილობების შეძენის მიზნით გაწეული ხარჯები, განსახორციელებელ

ინვესტიციაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი მანქანა-დანადგარები/მოწყობილობები განთავსებული/არსებითად დაკავშირებული იქნება „ქონებასთან“.

3.1.2 „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამავე მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 4.4 მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;

3.1.3 „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს“ წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, ზუსტდება, რომ „გამყიდველისათვის“ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება „მყიდველს“ ეკისრება „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, „გამყიდველის“ მიერ სრულად დადასტურებამდე;

3.1.4 დაფაროს „ქონებაზე“ საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი.

3.2 „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „საჯარო რეესტრში“ შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 4. „ხელშეკრულების“ განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს“ „ქონებაზე“ საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების“ გაფორმების და საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, „ქონებაზე“ საკუთრების უფლება „მყიდველს“ გადაეცემა „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2 „ქონებაზე“ საკუთრების უფლებასთან ერთად „საჯარო რეესტრში“ რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის ვალდებულება.

4.3 „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

4.4 „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება შესაბამისი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

4.5 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი” ვალდებულია „ქონება“ ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით“. ახალი მესაკუთრე სრულად ჩაენაცვლება „მყიდველს“ „ხელშეკრულებაში“. ამასთან, „ქონების“ გასხვისებამდე ახალი მესაკუთრის მიერ „გამყიდველს“ უნდა წარედგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია. „ქონების“ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.6 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია ქონების ნაწილი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“. ასეთ შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან“ ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ამასთან, „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისებამდე „გამყიდველს“ უნდა წარედგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია, რომლითაც „მყიდველთან“ ერთად პრინციპალად განსაზღვრული იქნება ახალი მესაკუთრე ან შესაბამისი გარანტის წერილობითი დასტური, რომ საბანკო გარანტიის საფუძველზე „გამყიდველის“ (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, „მყიდველის“ (პრინციპალის) სოლიდარული პასუხისმგებლობის მიუხედავად, გარანტი შეასრულებს „გამყიდველის“ (ბენეფიციარის) მოთხოვნას სრულად. „ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.7 „მყიდველი“ უფლებამოსილია „გამყიდველის“ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთოს „ქონება“. ამასთან, „ქონების“ იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მყიდველის“ ვალდებულებები.

4.8 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდამდე, „მყიდველს“ არ აქვს უფლება „ქონება“ ან მისი ნაწილი გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ხელშეკრულების“ 4.7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

4.9 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველს“ უფლება არ აქვს „გამყიდველთან“ შეთანხმების გარეშე „ქონება“ გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს.

4.10 „მყიდველი“ არ თავისუფლდება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული მესამე პირ(ებ)ის იმ ქმედებ(ებ)ისათვის, რამაც გამოიწვია აღნიშნული ვალდებულებების დარღვევა.

მუხლი 5. საბანკო გარანტია

5.1 „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი სს საქართველოს ბანკის (ს/კ: 204378869) მიერ 2023 წლის 28 ივნისს გაცემული №PE1046025-23 საბანკო გარანტია (შემდეგში, „საბანკო გარანტია“), მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს „ხელშეკრულების“ 2.1 და 3.1.1 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის „ხელშეკრულების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

5.2 „მყიდველი“ ვალდებულია „საბანკო გარანტიის“ თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში, 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

5.3 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის“ მხრიდან, „ხელშეკრულების“ 6.7 მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულების“ მოშლის/ავტომატურად შეწყვეტის შემთხვევაში „საბანკო გარანტიის“ თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 6. „მხარეთა“ პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების“ შეწყვეტა

6.1 „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი“ იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა (რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების (მათ შორის, პირგასამტეხლოს

გადახდის) უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი მოქმედი საბანკო გარანტიის ვადას, ხოლო, „ხელშეკრულების“ 2.1 ან/და 3.1.1 მუხლ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ასევე, შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან/ვალდებულების დარღვევიდან 1 წელს), პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი.

6.2 „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3 „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის თანხის 0,05%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 „ხელშეკრულების“ 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5 „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების თითოეულ ჯერზე შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

6.6 „ხელშეკრულების“ 5.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.7 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“, ამასთან, „ხელშეკრულების“ 2.1 ან/და 3.1.1 მუხლ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევიდან ერთწლიანი პერიოდის ამოწურვის თარიღიდან „ხელშეკრულება“ წყდება ავტომატურად. წინამდებარე მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულების“ მოშლის ან ავტომატურად შეწყვეტის შემთხვევაში „ქონება“ ბრუნდება

სახელმწიფო საკუთრებაში. „მყიდველს“ არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო, „ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

6.8 „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა, თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

7.2 „მხარე”, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს” ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე” კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის” მიერ „ხელშეკრულებით” განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების” მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების

შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.5 ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

8.2 „ხელშეკრულების" მიზნებისათვის, „მხარეთა" რეკვიზიტებია:

8.2.1 „გამყიდველის" შემთხვევაში:

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. №49ა, ქ. თბილისი, საქართველო
ტელ: 14 20

8.2.2 „მყიდველის" შემთხვევაში:

შპს „ვერტექსი"
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის 14 ბ.
ტელ: 577 38 04 20

8.3 „მყიდველი" ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს" მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

8.4 „ხელშეკრულების" 8.3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის" ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის" ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

9.1 „ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 „მხარეთა“ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა დებულებები

10.1 „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობით, „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის გზით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის“.

10.2 „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

10.3 სათაურები „ხელშეკრულებაში“ მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

10.4 „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“.

10.5 „ხელშეკრულება“ გაფორმებულად ითვლება „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„გამყიდველი“	„მყიდველი“
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“	**შპს „ვერტექსი“**
წარმომადგენელი: ანა ჭეიშვილი	წარმომადგენელი: გელა ხიზანიშვილი

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

14 / სექტემბერი / 2023 წ.

KA021768304155923

№ **6/50348**

შპს "ვერტექსის" დირექტორს
ბატონ გელა ხიზანიშვილს
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N14ბ
gelakhizanishvili@gmail.com

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - "სააგენტო") წარმოდგენილია 2023 წლის 1 სექტემბრის N01/01/09/23/ წერილი (სააგენტოში რეგისტრაციის N119147/04), რომლითაც მოთხოვნილია სააგენტოს დადებითი პოზიციის წარმოდგენა ქ. თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე 3904 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.16.015.516) სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე 3904 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.16.015.516) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება განხორციელდა შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხის, 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში;
ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, ამავე უძრავ ქონებაზე საინჟინრო-გეოლოგიური/გეოტექნიკური კვლევის მომზადებას და გამაგრებითი სამუშაოების (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) განხორციელებას) მიზნით არანაკლებ 5 350 000 (ხუთი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განაშენიანების სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება და ტერიტორიის ნებისმიერი განვითარება თანხვედრაში უნდა იყოს აღნიშნულ ვალდებულებებთან.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01232902673**
თარიღი: **17/10/2023**

ადრესატი: ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი: 01011076175
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30

განცხადების ნომერი: 012327610-67
განცხადების თარიღი: 03/10/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.14.16.015.516
- მისამართი : ქ. თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა

განმცხადებელი-დამკვეთი :ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი :01011076175
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01232901**
თარიღი: **17/10/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	012327610-67
განცხადების თარიღი:	03/10/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.14.16.015.516
მისამართი :	ქ. თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა
მესაკუთრეები :	შპს "ვერტექსი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი :	01011076175
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	გელა ხიზანიშვილი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალფუნქციური კომპლექსი
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	4.6
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ გასცეთ სპეციალური ზონალური ნებართვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ ესკიზური ვარიანტი განახლებულ განმარტებით ბარათთან ერთად არის მიბმული ხოლო მოთხოვნილი გეოლოგია და ხელშეკრულება თავისუფალი ფაილის მიმაგრების ველშია მიბმული.
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე (ს/კ:01.14.16.015.516) ტერიტორია გამოირჩევა რთული რელიეფით, რომელიც სამხრეთით ემიჯნება ასფალტირებული საავტომობილო გზა, ხოლო აღმოსავლეთით სამხრეთით და დასავლეთით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. ტერიტორიაზე ვრცელდება ხე ნარგავები თუმცა საპროექტო შენობა განთავსდება ისე, რომ დაცული იქნება სამ მეტრიანი რადიუსები. წარმოდგენილი ქალაქთმშენებლობითი დასაბუთება (წინასაპროექტო კვლევა) დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების ანალოგიით და შეთანხმების გაცემის მიზანშეწონილობის დასაბუთება, საჯარო და კერძო ინტერესების ჩვენებით (მოცემულ შემთხვევაში 50-100-150 მეტრიან რადიუსში ნაკვეთების ფართობის, სიმჭიდროვის, არსებული შენობების ფუნქციების გათვალისწინებით და სხვა მონაცემები). დღეის მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების შესაბამისად, მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად რომელშიც 60 % საცხოვრებელი იქნება ხოლო 40 %-ი სხვა ფუნქცია (კომერციული, საოფისე, სპორტულ გამაჯანსაღებელი) საჭიროა სპეციალური ზონალური ნებართვა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალის ძირითადი ნაწილი განვითარებულია მაღალი ინტენსივობის ობიექტებით, რომლის კოეფიციენტების მაჩვენებლები აღემატება არსებული ზონებში დასაშვებს. ზემოთხსენებული შენობების ფუნქციების მრავალბინინ საცხოვრებლებს ხოლო მეორე ნაწილი მრავალფუნქციურს საცხოვრებლის უპირატესობით (75 %- 25 %0. მოთხოვნა: გვსურს ჩვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად სპეციალური ზონალური შეთანხმება შესაბამისი პროცენტულობით 60 % საცხოვრებელი იქნება ხოლო 40 %-ი სხვა ფუნქცია (კომერციული, საოფისე, სპორტულ გამაჯანსაღებელი) .
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.516 ფართობი 3904. 0კვ.მ.) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გგ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქამინი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%-ს;

	ამავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების საშუალო ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი - შუალედური ზონა (შზ). საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის ფართობის განსაზღვრა 60%-ით, ხოლო კომერციული ფართის 40%. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობებიდან ერთ-ერთს, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ემიჯნება საავტომობილო გზა, ხოლო აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.მიმდებარე ტერიტორია ძირითადად ვითარდება მაღალი ინტენსივობის ობიექტებით. საპროექტო მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს მიერ გაყიდულია ვალდებულებით - ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულების პირობით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 14/09/2023 წლის N6/50348 წერილი, რომლის თანახმად : „ქ. თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე 3904 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.16.015.516) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება განხორციელდა შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:
გადაწყვეტილების დასაბუთება :	ა) საპრივატიზებო თანხის, 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში; ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, ამავე უძრავ ქონებაზე საინჟინრო-გეოლოგიური/გეოტექნიკური კვლევის მომზადებას და გამაგრებითი სამუშაოების (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) განხორციელებას) მიზნით არანაკლებ 5 350 000 (ხუთი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, განაშენიანების სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება და ტერიტორიის ნებისმიერი განვითარება თანხვედრაში უნდა იყოს აღნიშნულ ვალდებულებებთან“. მიწის ნაკვეთი მოქცეულია მაღალი რისკის გეოლოგიურად საშიშ ზონაში. წარმოდგენილია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N005606423 ექსპერტის დასკვნა, სადაც ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში ასახულია მონაცემები ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ და შესაბამისი რეკომენდაციები. მათ შორის განმარტებულია,რომ ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, მიეკუთვნება III (რთული) სირთულის კატეგორიას. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მოთავსებულია მაღალი რისკის ზონაში. აქედან გამომდინარე, ექსპერტის განმარტებით, მოსალოდნელია გეოდინამიკური მოვლენების განვითარება, რომლის თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოხდეს საინჟინრო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო მოედნის და მისი მიმდებარე ფერდობების მდგრადობის გაანგარიშება და შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იყო პროექტირების ეტაპზე და შემდგომ მშენებლობის პროცესშიც. განმცხადებლის მიერ დამატებით წარმოდგენილია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 11 სექტემბრის N5005834023 წერილი, ბიუროს მიერ გაცემულ საექპერტო დასკვნასთან (N005606423) დაკავშირებით. ბიუროს განმარტებით, აღნიშნულ დასკვნაში ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები განისაზღვრა ტექნიკური დავალების მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც შედგენილია საკვლევ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობის განთავსებისთვის კონსტრუქციული პროექტის შესადგენად და ამ შენობის დასაპროექტებლად სამშენებლო მოედანზე გავრცელებული გრუნტების ყველა საჭირო პარამეტრების

	განსაზღვრისთვის. ამავე წერილით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო განმარტავს, რომ N01.14.16.015.516 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსება შესაძლებელია, ამასთან, აუცილებელია ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შედეგები, რეკომენდაციები, მოსალოდნელი რისკები და სირთულეები გათვალისწინებული იყოს, შენობის კონსტრუქციული და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენისას. დასაბუთების ალბომი ასევე მოიცავს შპს „მშენ-ექსპერტი +“-ს (აკრედიტაციის მოწმობა NGAC-IB-0350) ინსპექტირების ანგარიშს (NFT-1172/09/23-I1172) რომელიც შესრულებულია საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირების მიზნით. აღნიშნული ანგარიშის დასკვნით : გრაფიკული ნაწილის და ლაბორატორიული კვლევების მასალები შესაბამისობაშია ტექსტურ ნაწილში მოყვანილ მონაცემებთან. ქ. თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე (ს/კ: 01.14.16.015.516) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიმართ ინპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 პრიმა მუხლის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით. განმცხადებლის მიერ დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. კერძოდ მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი თანხის გადახდის თაობაზე. განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართი შეადგენს - 251.4176 კვ.მეტრს. (ანგარიში: 3 904კვ.მX4.6=17 958.4; 17 958.4X60%/100=10 775.04; 17 958.4X25%/100=4 489.6; 10 775.04 - 4 489.6=6 285.44; 6 285.44X4%/100=251.4176 კვ.მ)
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე გარემო წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანებას, შენობათა უმეტესობა წარმოადგენს მრავალფუნქციურ შენობებს (საცხოვრებელი, კომერციული), მოთხოვნილი ფუნქციით ტერიტორიის სამშენებლო განვითარება არ წარმოადგენს გარემო განაშენიანების არსებით ცვლილებას. საპროექტო ტერიტორიის ფართობი და კონფიგურაცია იძლევა საშუალებას მასზე განთავსდეს სრულყოფილი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცე, სპორტული სივრცე, სარეკრეაციო სივრცე, თავშეყრის ადგილი და სხვ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს დასაშვებად მიაჩნია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60 %-ის, განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მიმდებარე გარემო, შენობა/ ნაგებობების სართულიანობა და მოცულობა, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცეები და სხვა). მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაბამის სტადიაზე, გათვალისწინებული იქნას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების განხორციელების საპრივატიზაციო პირობები. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნასა და წერილში მოცემული პირობები, მათ შორის, ექსპერტის განმარტება, რომლის მიხედვით, მოსალოდნელი გეოდინამიკური მოვლენების განვითარების თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოხდეს საინჟინრო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო მოედნის და მისი მიმდებარე ფერდობების მდგრადობის გაანგარიშება და

	შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იყოს პროექტირების ეტაპზე და შემდგომ მშენებლობის პროცესშიც. ამასთან, ექსპერტიზის ბიუროს განმარტებით, აუცილებელია ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შედეგები, რეკომენდაციები, მოსალოდნელი რისკები და სირთულეები გათვალისწინებული იყოს, შენობის კონსტრუქციული და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენისას. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 პრიმა მუხლის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება: მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01. 012329018**

თარიღი:**17/10/2023**

ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.516) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16^1 და 22-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012327610-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.516) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

4. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს მიერ N012327610-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

8. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№ 0623-0886148 D 14.12.2023

ბატონ გელა ხიზანიშვილს
ელ-ფოსტა: gelakhizanishvili@gmail.com
ტელეფონი: 577380420

ბატონო გელა,

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (შემდგომში „კომპანია“) თქვენი განცხადების („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN23-0881634; თარიღი 04/12/2023წ., რომლითაც მოთხოვნილია ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე ს/კ 01.14.16.015.516 მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება) პასუხად დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს: ვაკე-საბურთალოს საოპერაციო ცენტრის მენეჯერი თემურ წითლიძე. ტელ: 599 58 98 67.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: მ. ლოლაძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (51 13); (11 27)


gwp
შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
საოპერაციო ცენტრი №1
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რეგ.№ 08816/34-13 დეკემბერი 2023წ.
საშუშაოების დაწყების წინ გაფრთხილებულ
იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11
390.0 m²
165.6 m²
14.8 m²
438.9 m²
6.6 m²
5.4 m²
7.2 m²
9.8
5.1
01.01.834
ARTECO
SCALE
FORMAT A2

შპს "მაგთიკომი"
№ ED-23/11/21-008
21-11-2023 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,ვერტექსი,,-ს დირექტორს
ბატონ გელა ხიზანიშვილს
(ს/ნ405071265)

ბატონო გელა

თქვენი 2023 წლის 7 ნოემბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემული ტერიტორიიის (თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქ. ს/კ01.14.16.015.516) მიმდებარედ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი’’-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 591 790790: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.
შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ./ Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 231120022

Classification: MAGTICOM Confidential



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქუჩა ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი თოდაძე

თარიღი: 11/17/2023

====== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია